

პი ძმა] ანატოლი და სერგეი ბელოვლაზოვები“ („ლელო“); „...მიმი-
ნოშვილი არის ახალგაზრდა მეცნიერი, ჰყავს ტყუპი ბავშვები [სწო-
რია: ბავშვი, უმჯობესია: ჰყავს ტყუპები]“ („ახ. კომ.“).

ამგვარი სიჭრელე დაუშვებელია: ტყუპ- მსაზღვრელთან, როგორც
რიცხვის გამომხატველ სიტყვასთან, საზღვრული მხოლოობითში უნდა
იდგეს. ამრიგად, სწორი ფორმებია: ტყუპი ძმა, ტყუპი შვილი და
მისთ.

გ) საზღვრულად გამოყენებისას ტყუპ- სიტყვის ხმარებას დაბრ-
კოლება არ ახლავს: რიცხვით სახელთან იგი მუდამ მხოლოობითში
დგას და ამ მხრივ რაიმე მერყეობა არ შეინიშნება.

4. თავისებურია სიტყვა ტყუპისცალის საკითხი. ვინაიდან ცალ-
სიტყვის მნიშვნელობა ტრადიციულ სიტყვათხმარებაში ჩამოყალიბდა
როგორც ორიდან, წყვილიდან ერთისა, მისი მრავლობითში დასმა არ
არის მიზანშეწონილი. ისეთი კონსტრუქციების ხმარება, როგორცაა—
ისინი ტყუპისცალები არიან, — სასურველი არ არის: უმჯობესია, ეს
სიტყვა ერთის აღსანიშნავად, ტყუპიდან ერთ-ერთის გამოსაყოფად იქ-
ნეს გამოყენებული, ვთქვათ, ასე: ნინო ტყუპისცალია (და არა: ნინო
და არჩილი ტყუპისცალები არიან).

უ

უამბობს (უუბნობა) — მოუთხრობს — მოუხვება „მეტყვე-
ლება-წორის“ ზმნებია და ამბის ნეიტრალურ გადმოცემას აღნიშნავენ,
ოღონდ უამბობს ისევე, როგორც უუბნობა, ამბის ზეპირ გადმოცემას
გულისხმობს, მოუთხრობს კი — ძირითადად წერილობითს. შდრ.: „გი-
ორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას“ (ილია) და: „ერთ
პატარა ლეგენდაში... ვაჟა-ფშაველა მოვითხრობს“ (გ. ქიქ.). ეს ნი-
უანსები განსაკუთრებით კარგად ჩანს ამ ზმნათა საწყისებში: მოყო-
ლა, თქმა და მოთხრობა. ამ უკანასკნელმა ტერმინოლოგიური შინაარ-
სიც მიიღო, იგი მცირე ფორმის სიუჟეტური ამბის წერილობით გად-
მოცემას აღნიშნავს.

აღნიშნული ნიუანსების გათვალისწინებით, ამბის წერილობითი
გადმოცემის, მოთხრობის აღსანიშნავად შეუფერებლად უნდა ჩაითვა-
ლოს იამბობ ფორმის გამოყენება: „მაგრამ განა წერილში ყველაფერს
იამბობ? („კომ.“). წერილით ამბავს გადასცემენ ვისმე, მოუთხრობენ,
სიტყვიერად კი — უამბობენ.

მეორე მხრივ, ამბის ზეპირი გადმოცემისას უამბობს ფორმას
უნდა მიეცეს უპირატესობა მოუთხრობს ფორმასთან შედარებით.

შდრ.: „იქ კი ადგილი დაკავებული აღმოჩნდა... ასე მოვხვდი მე-15 საამქროში, სადაც შემდეგ გამგზავნეს. მის ბაზაზე ჩამოყალიბდა მე-19, სადაც ახლა ვმუშაობ, — **მომითხრობს** [უმჯობესია: მიამბობს]“ („თბილ.“).

უამბობს და **მოუთხრობს** ზმნათა მნიშვნელობებისათვის საერთოა გადმოსაცემი ამბის ხასიათი: ეს ზმნები თხრობის შედარებით ხანგრძლივ პროცესს ასახავენ, ვრცელი ამბის გადმოცემას ვარაუდობენ. მათგან განსხვავებით, **ეუბნება** (ეტყვის, უთხრა, უთქვამს) უფრო მოკლე სიტყვიერ გადმოცემას, ცნობის მიწოდებას აღნიშნავს და იგი მოსაუბრეთა უშუალო, და, ამასთან, ხანმოკლე სიტყვიერი კონტაქტის გამოშხატველია. შდრ.: „მეორე დღეს ო. ბალიაშვილმა ო. გოგიჩაიშვილს დაავალა გაეფრთხილებინა შ. და ვ. დაღეშელები, რომ არავისთან არ ეთქვათ მკვლელობის ამბავი“ („კომ.“). მაგრამ შეუფერებელია **ეუბნება** (უთხრა) ზმნის გამოყენება იქ, სადაც მთელი ამბის თანმიმდევრული გადმოცემა ივარაუდება: „პრემიერის შემდეგ რეჟისორმა დ. ალექსიძემ **გვითხრა** [უნდა იყოს: გვიამბო], თუ როგორ იქმნებოდა ეს სპექტაკლი“ („კომ.“).

ასეთივე განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები აქვთ ამ ზმნათა საწყისებს: **მოყოლა** და **თქმა**. შეიძლება: ლექსის თქმა, ცალკეული ფრაზების, სიტყვების თქმა, მაგრამ არ შეიძლება **ამბის თქმა**: „სოხუმის წარსულის **თქმა** [უნდა იყოს: მოყოლა, გადმოცემა] რამდენიმე სიტყვით ძნელია („სამშ.“). წარსულის შესახებ ორი სიტყვით ან თუნდაც წინადადებით მართლაც შეუძლებელია რისამე თქმა, რადგან წარსული იგივეა, რაც ამბავი, ისტორიული სინამდვილე, რომლის შესახებ შეიძლება მოვუთხროთ, ვუამბოთ, ვესაუბროთ ვინმეს.

სემანტიკურად ძალიან ახლოს დგანან ერთმანეთთან **უამბობს** (უამბო) და **მოუყვება** (მოუყვა) ზმნები. ოღონდ, **მოუყვება** (მოუყვა) უფრო სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, **უამბობს** (უამბო) კი წერით მეტყველებაშია გავრცელებული.

შეინიშნება ერთი ნიუანსიც: თუ სათქმელი განზოგადებულია რომელიმე ამ სახელით — ამბავი, ისტორია, თავგადასავალი..., მაშინ კონსტრუქცია მარტივი იქნება, წინადადების შემასმენელი კი **მოუყვა** ზმნით გამოიხატება (მაგ.: ტარიელი **მოუყვა** ავთანდილს თავის თავგადასავალს), ირიბნათქვამიან რთულ კონსტრუქციაში კი, რომლის დამოკიდებულ წინადადებაში მონიშნულია გადმოსაცემი ამბის თემა, მთავარი წინადადების შემასმენლად ენა **უამბო** ზმნას ამჟობინებს (მაგ., ტარიელმა **უამბო** ავთანდილს, თუ რა გადაჭდა თავს ნესტან-დარეჯანის დაკარგვის შემდეგ). ბუნებრივ შესიტყვებებში აღნიშნული სახელები (ამბავი, ისტორია, თავგადასავალი...) გაშლილია დამოკიდებული წინა-

დადებით გადმოცემული შინაარსის სახით, ანდა გვაქვს განმარტავად-ბელი შინაარსის გამომხატველი სიტყვები: **ყველაფერი**, **ეს**, **-ის შესახებ**: „გრაფინია რელსმა კი ანას ისე, სხვათაშორის, მოუყვა [უნდა იყოს: უამბო], კნენა ლიუბომირსკაიამ მეფის გული როგორ მოინადირა“ (გ. შალამბ., თარგმ.); „აღუენმა მოუყვა [სწორია: უამბო], თუ როგორ იბოვეს მის პიუსონი“ (ნ. ძოწ.); „და მან თავისებური გარკვეულობით მოკლედ მოუყვა ლევისს ეს ახალი, მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო აღმოჩენები [უნდა იყოს: უამბო... აღმოჩენების შესახებ]“ (თ. საყვ. და ლ. ტიტვ., თარგმ.); „რაიმუნდმა ანას დაწერილებით მოუყვა [სწორია: უამბო] ყველაფერი“ (გ. შალამბ., თარგმ.); „ქვრივმა კი მაშინვე მომიყვა [სწორია: მიამბო] ეს“ (ნ. ძოწ., თარგმ.). ამევე წინადადებებში დარღვეულია მოუყვა ზმნის სინტაქსური კონსტრუქციაც. ამის შესახებ იხ. მოუყვა მან.

ეუბნება, უამბობს, მოუთხრობს, ეკითხება, უპასუხებს... ზმნებისათვის საერთოა გადმოსაცემი ამბისადმი ნეიტრალური დამოკიდებულება. რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი ამბის შეტყობინების აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება **ამცნობს, აცნობებს** ზმნა: „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ (რუსთ.); „მხოლოდ ვარსკვლავითა თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“ (ნ. ბარათ.); მაგრამ, თუ გადმოსაცემი ამბავი, ცნობა, რაიმე სიახლეს კი არ წარმოადგენს, არამედ ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ფაქტს გულისხმობს, ამგვარ შესიტყვებაში **ამცნობს, აცნობებს** ზმნათა ხმარებას სემანტიკური საფუძველი არა აქვს. მაგალითად: „ჩვენი ბრიგადის ზვრებს 53 პექტარი უჭირავს, — ვვამცნობს [უშეჯობესია: გვეუბნება] ზოია“ („კომ.“); ასევე: „მე ჩამოვართვი, წავიკითხე და გადავწყვიტე მკითხველს უცვლელად, ჩემი „ჩარევის“ გარეშე, ვაცნობო [უნდა იყოს: ვავაცნო] ეს წერილი“ (ლ. სანიკ.).

აღმოსავლურ დიალექტებში ნეიტრალური თხრობის, ამბის გადმოცემის აღსანიშნავად ხშირად ხმარობენ **იძახის** ზმნას. უკანასკნელ ხანს სალიტერატურო ქართულშიც შეინიშნება ამ ზმნის გამოყენება **ამბობს** ზმნის მნიშვნელობით. მაგალითად: „უკმაყოფილო მცხოვრებლები იძახიან [უნდა იყოს: ამბობენ], ოღონდ ყურადღება მოგვაქციონ, წყლის საიმედო დამცავეები გააკეთონ და შხად უარტ მხარი ავუბათო“ („თბილ.“).

უბრალო; უბრალოდ. ზედსართავი სახელი **უბრალო** განიმარტება როგორც ჩვეულებრივი, არაფრისაგან (არავისაგან) გამორჩეული, მარტივი, უმნიშვნელო (რაც ყურადღების ღირსიც არ არის): „ჩვენც გამონაბირა ფიცრის უბრალო [=ჩვეულებრივ] სკამზე ვსხდებოდით“ (რ. ინან.). „მისი ტანსაცმელი არ ყვიროდა, სხეულს არ

გაუბრბოდა, **უბრალო იყო** [=არ იყო გამორჩეული]“ (ა. სულაჯ.); „როცა გიყვარს, **უბრალო** [=უმნიშვნელო] რამ გაფრთხობს“ (ალ. გამყრ., თარგმ.); „გამაყრუებული ზათქისა და ღრიალის მაგიერ **უბრალო** [=უმნიშვნელო] ჩქამსაც არ გამოსცემდნენ“ (რ. ჯაფ.); „...გოგოები ამ ცეკვებში არ მონაწილეობდნენ. — **უბრალო** [=მარტივი] მიზეზის გამო, ევროპული ცეკვები არ იცოდნენ“ (რ. ინან.).

ამავე შინაარსისაა ზმნისართი **უბრალოდ**: ჩვეულებრივად, სადაღ, მარტივად. მაგ.: „ბატონიშვილს **უბრალოდ** ეჭირა თავი, როგორც ერთ მეტროპოლითაგანს“ (გ. ბარს.); „ერთადერთი რამ, რაზედაც ყურადღების შეჩერება შეეძლო ჩემს მეგობარს, ეს იყო „ბუნება“, როგორც ჩვენ **უბრალოდ** ეუწოდებთ ხოლმე მთებს, ტყეებს, მდინარეებსა და ბალახებს“ (რ. ინან.).

უბრალო და **მარტივ**- ზედსართაეების (ასევე — **უბრალოდ** და **მარტივად** ზმნისართების) სინთნიმურ მნიშვნელობებს შორის მაინც არის სხვაობა: **უბრალო** მეტად შეიცავს **უმნიშვნელოს**, **არაფრად ჩასაგდების** ნიუანსს: „თუმცა ნაკუჭი **უბრალოა** [უმჯობესია: უმნიშვნელო რამ არის]“ („თბილ.“), **მარტივი** კი **ადვილს** უტოლდება. მაგ.: „ეს **უბრალო** [უმჯობესია: მარტივი] მაგალითი გვიდასტურებს, რომ ეკუთვნიდა მრავალი პოეტური სახე გადაწეულია ქართულ ხალხურ პოეტურ აზროვნებასთან“ (ს. ჩიქ.); „— შინ მეწიეთ, მეგობრებო, აუცილებლად მეწიეთ, მისამართი **უბრალოზე უბრალოა** [უნდა იყოს: მარტივზე მარტივია, ან: უმარტივესია...]“ („სოფლ. ცხოვრ.“); „წიგნში ამბავივით **უბრალოდაა** [უნდა იყოს: მარტივადია] მოყოლილი ჩვენი დამწერლობის, მისი წარმოშობისა და განვითარების შესახებ“ („ლიტ. საქ.“).

სწორედ აღნიშნულ ნიუანსს უნდა შეეწყოს ხელი **უბრალოდ** ზმნისართის გაერცვლებისათვის ნაწილაკის ფუნქციით. მას იყენებენ, როცა თითქოს ხაზი უნდათ გაუსვან ფაქტის ჩვეულებრიობა, თუმცა, ამ ჩვეულებრიობის მიღმა ხშირად სწორედ არაჩვეულებრივს გულისხმობენ. მაგ.: „დაღის, შრომობს ადამიანი ჩვენს გვერდით, **უბრალოდ** — კეთილი. **უბრალოდ** — თავაზიანობით გამორჩეული. **უბრალოდ** — სკამიანი. **უბრალოდ** — კარგი ამხანაგი. **უბრალოდ**... რადგან მას არ დასჭირვებია ამბრაზურას მკერდით აჭყარებოდა, ცეცხლმოდებულ ტანკს შევარდნოდა...“ („თბილ.“).

სიტყვა **უბრალოდ**, როგორც ნაწილაკი, ხშირად ენაცვლება შესიტყვებას **სხვა არაფერი**, გამოდის თითქოს შეკუმშული ფრაზის როლში: „...დღეს ამისათვის არ ეცალა... არ დააცლიდნენ, **უბრალოდ** [=სხვა რომ არაფერი ვთქვათ]“ („ახ. კომ.“); „— ნუთუ არ შეგიძლია მაგოდენა არ დაიღრიალო? ანდა, **უბრალოდ**, [=სხვას არაფერს

გთხოვთ], სწორედ დასდეთ? „გვიტხრა დედამ“ (რ. ინან.); „ნოდარს, უბრალოდ [=სხვა არაფერი] სიამოვნებს ჯიმშერის წვალება“ (ა. სუ-ლაკ.). ასეთივეა: „— რა არის, ფოსტალიონად დაიწყე მუშაობა? — არა, უბრალოდ, ბავშვი მინდა მივალეზინოს საბავშვო ბაღში და საბუ-თებს ვავტოვებ“ („სოფლ. ცხოვრ.“); „— თქვენი სახე მეცნობა, ჩვენი თანამშრომელი ხომ არა ხართ? — არა, უბრალოდ... ყოველდღე რა-მოდენიმე საათი მიხდებოდა მისაღებში ლოდინი“ („სოფლ. ცხოვრ.“). — ორსავე მაგალითში უბრალოდ იხმარება მხოლოდ ნაწილაკის მნიშვნე-ლობით. წინადადების ბოლოს მას შეეკლიდა ან დაემატებოდა: სულ-ესაა; ესაა და ეს.

ნაწილაკის მნიშვნელობით გამოყენებული უბრალოდ ზოგჯერ წი-ნადადებას აზრს უცვლის: „მაგრამ ამჯერად ორი გარემოება უბრალოდ [უნდა იყოს: აუცილებლად, გადაჭრით] მოითხოვს უპასუხოდ და უკომენტაროდ არ დავეტოვოთ ნიკელი კოლეგების ცდა“ („კომ.“).

ზმნისართი უბრალოდ ნაწილაკის ფუნქციით სასაუბრო ენის შე-მონატანია სალიტერატურო ენაში. მისი გავრცელებისათვის ხელი-უნდა შეეწყოს რუსული ენის გავლენასაც. შდრ. ზმნისართ-ნაწილაკი (просто). ქართულ სასაუბრო მეტყველებაში გავრცელდა რუსული „ბროსტო“-ც, როგორც ქარგონულად ნახმარი ბარბარისში და ამგვარი ერთეულები, როგორც ცნობილია, ენას ანაგვიანებს.

საერთოდ, უბრალოდ ზმნისართის ფართოდ გავრცელება სალი-ტერატურო ენაში ნაწილაკის ფუნქციით არასასურველია.

უდაბლესი — უმდაბლესი. ეს ორი სიტყვა ბგერობივად მსგავს-სია, მაგრამ შინაარსობრივად — დიდად განსხვავებული. ამიტომ მათი აღრევა დაუშვებელია.

უდაბლესი ნაწარმოებია დაბალ- სიტყვისაგან. ზედსართავ და-ბალ-ის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: სიმაღლეში პატარა, მცირე სიმაღ-ლისა, ქვევიდან ზევითკენ მცირე ზომისა (საპირისპირო: მაღალი). უდაბლესი ნიშნავს: ყველაზე დაბალი, მეტისმეტად დაბალი, ძალიან დაბალი.

უმდაბლესი კი ნაწარმოებია ზედსართავისაგან მდაბალი. სიტყვა-მდაბალს სხვა მნიშვნელობებთან ერთად ორი საპირისპირო მნიშვნე-ლობა აქვს: 1. მდაბალი უარყოფით შინარსს გულისხმობს და ნიშნავს: უღირსი, უბერო, უპატიოსნო, ზნედაცემული. მაგ.: „მდაბალი სულის-კაცია“ (საუბ.). ამ მნიშვნელობით გამოიყენება ეს სიტყვა კომპოზიტ-შიც სულმდაბალი — მდაბალი ბუნების აღამიანი — უპატიოსნო, არა-კეთილშობილი, ზნედაცემული, ლაჩარი (საპირისპ.: სულმაღალი — მაღალი ბუნების აღამიანი, დიდბუნებოვანი, დიდსულოვანი, პატიო-სანი, კეთილშობილი). 2. მდაბალი ტრადიციულად დადებით შინაარ-

საც შეიცავს და ნიშნავს: მორიდებული, მოკრძალებული, თავმდაბალი. მაგ.: „**მდაბალი** სალამი“; „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი, მალალი, უხვი, **მდაბალი**, ლაშქარმრაველი, ყმიანი“ (რუსთ.); სწორედ ეს მნიშვნელობაა ამოსავალი კომპოზიტივისათვის **თავმდაბალი** — მოკრძალებული, მორიდებული; ხათრიანი, არაამპარტყვანი, უპრეტენზიო. აქედან: **თავმდაბლობა** — მოკრძალებულობა, მორიდებულობა.

მდაბალ- სიტყვისაგან ნაწარმოებ **უმდაბლეს-**საც ორი მნიშვნელობა აქვს:

1. მეტისმეტად მდაბალი, მდარე, უხვირო თვისების მქონე. 2. მეტისმეტად მოკრძალებული: „ჩემი **უმდაბლესი** სალამი“ (საუბ.).

მაშასადამე, ბგერობრივად მსგავსი სიტყვები **დაბალი** და **მდაბალი** შინაარსობრივად დაშორებულია: **დაბალი** აღნიშნავს ზომას სიმალღეში, **მდაბალი** — აღამიანის სულიერ თვისებას. ზოგჯერ ამ ორ სიტყვას უმართებულოდ ურევვენ ერთმანეთში. მაგ.: „წინა აღმოსავლეთის ქვეყნები დიდი ხანია უკვე დაცემას განიცდიდნენ, იმყოფებოდნენ ფეოდალიზმის **უმდაბლეს** [უნდა იყოს: უდაბლეს] საფეხურზე“ (შ. რად.).

უებარი — **უებრო**. ზედსართავი სახელები **უებარი** და **უებრო** პარონიმული სიტყვებია, საერთო წარმომავლობის მქონე: **-ებ-არ<** **-ებრ-ი**, რომელიც საბასთან განმარტებულია როგორც „მისი მსგავსი“. მაგრამ ამ ერთი შეხედვით მსგავს, თითქმის ერთნაირადაც ნაწარმოებ (უ-ებარ-ი, უ-ებრ-ო) მსაზღვრელ სახელებს გამოიყენებია განსხვავებული სფეროები აქვთ.

უებარი განსაკუთრებით კარგს, საუკეთესოს, შეუღარებელს აღნიშნავს; ჩვეულებრივ, უსულო საგნის გამომხატველი სიტყვის მსაზღვრელად გამოიყენება. სიტყვათხმარებაში **წამალს**, **განმკურნავ საშუალებას** მიეჯამება: **უებარი წამალი**, **უებარი საშუალება**. აქედანაა ზმნისართი **უებრად** (უებრად მოქმედი წამალი, საშუალება).

როგორც ჩანს, **უებარ-ის** ხმარება შეზღუდულია და იგი ძირითადად სამკურნალო საშუალებების მიმართ გამოიყენება — პირდაპირ თუ გადატანილად: „მისი **წამალი უებარი** იყო, შელოცვა უწამლოდ არჩენდა“ (გ. ბარნ.); „სიღარიბის **უებარი წამალი** სიბეჯითე და ვარჯაა“ („ქართ. ენა“, III კლ.); „თუ გინდათ, **უებარი წამალი** ეიცო, — უთხრა ჯოვანიონი“ („ცისკ.“); „ხელებისათვის **უებარია** კომშის გულის ნახარში (ან ხახვის მურაბა)“ და მისთ.

უებრო უფრო ფართო მნიშვნელობის სიტყვაა. აღნიშნავს: ვისაც, რასაც ტოლი, მსგავსი, ბადალი არა ჰყავს (არა აქვს); უბადლო, სწორუბოვარი, უჩვეულო, განსაკუთრებული; განსაზღვრავს ძირითადად

სულიერთა ან მათი ნამოქმედარის, შემოქმედების, ხელოვნების... და მაღალი გრძნობების (სიყვარულის...) აღმნიშვნელ სიტყვებს. **უებრო მეგობარი**, **უებრო მთხრობელი**, **უებრო მოცეკვავე**, (მომღერალი, მსატვარი...), **უებრო მოთხრობა** და მისთ. ჩუულებრივი, ბუნებრივი შესიტყვებებია.

თანამედროვე სიტყვათხმარებაში შეინიშნება დარღვევები **უებარი**, **უებრო** სიტყვების გამოყენებისას. კერძოდ, შეუფერებელია სიტყვა **უებრო**-ს ხმარება ამგვარ კონტექსტში: „ფილმის ებილოგში გვესმის მშვენიერი მუსიკის ფონზე მომაჯადოებელი, წინასწარმეტყველური სიტყვები ჩვენი **უებრო გენიოსის** ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსიდან — „საფლავი მეფის ირავლისა“ („კომ.“). **გენიოსი** ლათინური genius-იდან მომდინარე სიტყვაა. genius(გენია) უდიდესი შემოქმედებითი ნიჭია, **გენიოსი** — უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით (გენიით) დაჯილდოებული პირი. ამიტომ **გენიოსს** მსაზღვრელად **უებრო** აღარ შეეფერება: **გენიოსს** ებითეტები აღარ სჭირდება. მაშასადამე, **უებრო გენიოსიც** სემანტიკურად შეუფერებელი სიტყვების შეხამებაა.

უებარი უადგილოდ არის ნახმარი სულიერის აღმნიშვნელ სიტყვათა მსაზღვრელად: „თქვენსთანა **უებარი** [უნდა იყოს: კარგი, შესანიშნავი] **მეზობლები** ყველას კი არა ჰყავს“ („ცისკ.“); „განციფრებით შესცქეროდნენ ამ **უებარ მოსაუბრეს** [უნდა იყოს: უებრო, უბადლო]“ („ცისკ.“). უმართებულოდა იგი ნახმარი არასულიერი საგნების აღმნიშვნელ სიტყვებთანაც მაშინ, როცა განმკურხავ, კარგად მოქმედ საშუალებებზე არ არის საუბარი: „მარიამ დედოფალი წრფელად უყვარდათ საქართველოში არა მარტო თავისი **უებარი** [უნდა იყოს: უებრო] **სიტურფის გამო**“ (კ. გამს.); „ზამთრის პირობებში რა **უებარი** [უნდა იყოს: კარგი, შესანიშნავი, მისწრება] იქნებოდა დაბამბული **შარვლები** და თბილი **ქურთუკები**, კარგად მოგვხსენებათ!“ („სოფლ. ცხოვრ.“); „მას ბოლომდე ნათელი აზრი და **უებარი** [უნდა იყოს: შესანიშნავი] **მეხსიერება** ჰქონდა“ („მნათ.“) და მისთ. მაშასადამე, სულიერთა აღმნიშვნელ სახელებთან **უებარ**-ის ნაცვლად უნდა იხმარებოდეს **უებრო**, ან უფრო მოსახერხებელი და ბუნებრივი, ამჟამად გავრცელებული მსაზღვრელები: შესანიშნავი, შეუღარბელი, უბადლო, უმაგალითო.

შესიტყვებაში შეხამებისას სულიერსა და უსულოს აღნიშნული ზედსართავი სახელებისაგან ნაწარმოები ზმნისართებიც — **უებრად**, **უებროდ** — განარჩევენ: **უებრად** განსაზღვრავს წამლის (საშუალების) მოქმედებას, ხოლო **უებროდ** — ადამიანის ნამოქმედარს. მაგ.: „რალა უშვავდა ქალს ცხოვრებაში ამისთანა **უებროდ მომქმედ** ადამიანს

გვერდითი?!” (ვ. ბარნ.); „განსაცდელის უამს შენს ხელში იგი ისე უბროდ კვეთდეს, ვით დავითისა და გიორგის ხმლები“ („ეცისკ.“).

უზრუნველყოფს ძველი ქართულიდან შემორჩენილი ერთ-ერთი რთული ზმნაა, რომელიც შედგება სახელადი ნაწილისა — **უზრუნველ-** და მეშველი ზმნისაგან **ყოფს**. ძველ ქართულში იგი ნიშნავდა უშფოთველ, უდარდელ ყოფას (ძქელ), ახალ ქართულში კი შედარებით ფართო მნიშვნელობით იხმარება, სახელდობრ, ნიშნავს: ყოველგვარ პირობებს შეუქმნის, რითიმე სავსებით დააკმაყოფილებს. ამიტომ დღეისათვის ბუნებრივია: **უზრუნველყოფს ვის? ან რას?** — ადამიანს, მეგობარს, შვილს, მეზობელს... ოჯახს, ქარხანას, კოლმეურნეობას, მშენებლობას... და: **უზრუნველყოფს როგორ? ან რით?** — ყოველმხრივ, სავსებით, მატერიალურად, სოციალურად... ბინით, ნედლეულით, პროდუქტებით, ზელფასით...: „ელენემ ყოველმხრივ უზრუნველყო... და ნამდვილი მეგობრული ხელი გაუწვდინა დედა-შვილს“ (ბკ. გაბ.); „ქარხანა მთლიანად უზრუნველყოფს აგურ-კრამიტით კოლმეურნეობის მოთხოვნილებას“ („კომ.“); — „იგიოსტიპენდიებით უზრუნველყოფდა... რუსეთში განათლების მისაღებად წასულ ქართველ ახალგაზრდობას“ („ლიტ. საქ.“); „მას, ცხოვრების პირობებს რომ თავი დაეანებოთ, სამსახურით ვერ უზრუნველვყოფთ“ („ლიტ. საქ.“)...

ამ ბოლო დროს აღნიშნულმა ზმნამ კიდევ უფრო გაიფართოვა მოხმარების არე და ან ფრაზაში შეენაცვლა სხვა — სემანტიკურად უფრო მართებულ ზმნებს, ანდა საწყისებთან შექმნა მყარი სახელურ-ზმნური შესიტყვებები, რომლებშიც სემანტიკური ცენტრი, ძირითადად, საწყისია, ხოლო **უზრუნველყოფს**, ჩვეულებრივ, შინაარსისაგან დაცლილია და მეშველი ზმნის ფუნქციას სჯერდება. ასეთებია: **უზრუნველყოფს** — დამთავრებას, შექმნას, განადგურებას, მიღებას, ჩატარებას, დაფარვას და სხვ.

თანამედროვე ქართულში ზმნა **უზრუნველყოფს** ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ზოგჯერ გამოყენებულია სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ ლექსიკაში, რასაც ხელი უნდა შეეწყოს მისი ფართო გავრცელებისათვის ენაში, მაგრამ ამ რიგის გამოთქმები უმეტეს შემთხვევაში კალკებია, რომელთა გამართლებაც გაჭირდება თუნდაც იმიტომ, რომ ქართულში არსებობს მათი შესატყვისი უფრო ბუნებრივი და მართებული ზმნები (**უზრუნველყოფს** დამთავრებას — დამთავრებს, **უზრუნველყოფს** შექმნას — შეიქმნას, **უზრუნველყოფს** მიღებას — მიიღებს...). მართალია, ამ სახის სახელურ-ზმნური შესიტყვებები ზოგჯერ შეიცავენ შესატყვისი ზმნებისაგან განსხვავებულ დამატებით ნიუანსს და მათი შენაცვლება სემანტიკურად ვერ ხერხდება,

მაგრამ არც აღწერთი ფორმებია ყოველთვის მართებული ენობრივი თვალსაზრისით.

ხშირად ზენა უზრუნველყოფს იხმარება უარყოფით ვერ ნაწილაკთან ერთად და ასეთი გამოთქმები თითქოს უფრო ბუნებრივია, რადგან კატეგორიულობის ნიუანსი ახლავს, მაგრამ არცთუ იშვიათად ასეთ შემთხვევებშიც უზერხულ და სემანტიკურად გაუმართლებელ სიტყვათშეხამებებს ვიღებთ.

ამდენად, სტილისტიკურად დასახვეწია შემდეგი წინადადებები: „**მან ვერ უზრუნველყო** მანქანის უსაფრთხოდ **მართვა** [უნდა იყოს: ვერ შეძლო, ვერ მოახერხა ...უსაფრთხოდ მართვა, ან: ცუდად, დაუდევრად, არასწორად... მართავდა] და ბოძს შეაჯახა“ („თბილ.“); „**მან ვერ უზრუნველყო** მანქანის სწორი მიმართულებით **წყევანა** [უნდა იყოს: ვერ წაიყვანა სწორი მიმართულებით, ან: ვერ შეძლო სწორი მიმართულებით წაყვანა]“ („ქიათ. მალ.“); „**მან ვერ უზრუნველყო** თავის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის **გაჩერება** [უნდა იყოს: ვერ გააჩერა ავტომანქანა, ან: ვერ მოახერხა, ვერ შეძლო ავტომანქანის გაჩერება] („გამარჯვ.“)... „ამასთან, ვცდილობთ **უზრუნველყოთ** საქონლის მთელი არსებული ასორტიმენტის **ჩვენება** [უნდა იყოს: ვცდილობთ ვაჩვენოთ მთელი ასორტიმენტი]“ („კომ.“); „სამმართველო აფრთხილებს ყველა აბონენტს..., 10 დღის განმავლობაში **უზრუნველყო** აღნიშნული დავალიანების **დაფარვა** [უნდა იყოს: დაფაროს დავალიანება]“ („თბილ.“); „მოსახლეობამ საკუთარი სახსრებით **უზრუნველყო**... საჭირო მასალების **შეძენა** [უნდა იყოს: საკუთარი სახსრებით შეიძინა საჭირო მასალები]“ („ქიათ. მალ.“); „პრიგადირი ყოველთვის იმის ცდაშია, აგროტექნიკურ ვალებში **უზრუნველყოს** სავენახე საწუშაოების **ჩატარება** [უნდა იყოს: ჩაატაროს სავენახე სამუშაოები]“ („ლენ. გზით“); „სატყეომ... 2 წლის მანძილზე **უზრუნველყო** მავნებლის **განადგურება** [უნდა იყოს: გაანადგურა, შეძლო გავანადგურებინა მავნებელი, ან: შეძლო მავნებლის განადგურება]“ („საქ. ბუნ.“); „მათ ჭირვეული ამინდების პირობებშიც **უზრუნველყოფენ** ბარაქიანი მოსავლის **მიღება** [უნდა იყოს: ჭირვეული ამინდებს ბირობებშიც შეძლეს ბარაქიანი მოსავლის მიღება, ან: ჭირვეული ამინდების მიუხედავად მიიღეს ბარაქიანი მოსავალი]“ („განთ.“, ვანი); „არ არსებობს ისეთი კარტოგრაფიული პროექცია..., რომელიც **უზრუნველყოფდეს** სფერული ზედაპირის სიმბრტყეზე დაუმახინჯებლად **გამოსახვას** [უნდა იყოს: რომ სფერულ ზედაპირს სიმბრტყეზე დაუმახინჯებლად გამოსახავდეს]“ („ისგ სკოლაში“); „არ არსებობს ისეთი პროექციები, რომლებიც **უზრუნველყოფდნენ** ხაზების სიგრძეების დამახინჯებათა სრულ **გამორიცხვას** [უნდა იყოს: რომლებიც სრულ-

ლიად გამოორიცხადნენ ხაზების დამახინჯებას, ან: რომლებიც სრულე-
ბით არ ამახინჯებდნენ ხაზების სივრცეებს]“ („ისგ სკოლაში“); „არ-
სებული წესების ზუსტად შესრულება უზრუნველყოფს ხეების და-
ზიანების თავიდან აცილებას [უნდა იყოს: წესების შესრულება თავი-
დან აგეცილებს, ან: წესების შესრულების შედეგად თავიდან ავი-
ცილებთ დაზიანებას]“ („საქ. ბუხ.“); „უზრუნველყოფთ პლანტაციე-
ბის გასხვლა-ფორმირების აგროვადებში დამთავრებას [უნდა იყოს:
ყოველ ღონეს ვინმართ, ყველაფერს გავაგეთებთ პლანტაციების გა-
სხვლა-ფორმირების აგროვადებში დასამთავრებლად]“ („კომ. განთ.“);
„გზის მშენებლობაზე შრომობდნენ მებუღლოზერეები, რომლებმაც...
უზრუნველყვეს გამარჯვების მოპოვება [უნდა იყოს: დიდი წვლილი
შეიტანეს გამარჯვების მოპოვებაში, ან: ყველაფერი გააგეთეს გამარ-
ჯვების მოსაპოვებლად]“ („განთ.“, ვანი).

უთხრა „მეტყველება-წირს“ ზმნაა, რომელიც, ჩვეულებრივ, ავ-
ტორისეულ რემარკაში შედის. უმართებულოა მისი გამოყენება შეკი-
თხვის დასმის ანუ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მნიშვნელობით. იხ.
თქვა — უთხრა.

უპაპინა და **უჭირავს** თანამედროვე ქართულში სინთონიმური მნიშ-
ვნელობის მქონე ზმნებია, ორივე აღნიშნავს ხელში რისამე პყრობას,
ღიპერას, დაკეებას. ეს ზმნები ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში თავი-
სუთლად ენაცვლებიან ერთიმეორეს. მაგ.: „ქოლვა რომ უკავია, იგია“
(ე. ნინ.) „კაცს ხელში ბარი უჭირავს“ (ზღაპ.). მაგრამ ამ ზმნათა სტი-
ლებრივი ფუნქცია ზოგჯერ მაინც განსხვავებულია. სახელდობრ, **უჭი-
რავს** ზმნით შედგენილი იდიომური გამოთქმები — **ადგილი უჭირავს**,
თავი უჭირავს — თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გავრცე-
ლებული შესიტყვებებია; ხოლო **უკავია** ზმნის შემცველ შესაბამისი
შინაარსის იდიომურ გამოთქმებს — **ადგილი უკავია**, **თავი უკავია** —
დიალექტური ელფერი დაპყრავს. თუმცა ამ რიგის იდიომები შესა-
ძლოა შეგვხვდეს თანამედროვე ზეპირსა და წერით მეტყველებაში.
მაგ.: „სიყვარულის თემას ალ. ჭაგჭაგამის შემოქმედებაში საგრძნობი
ადგილი უკავია [სწორია: მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს]“ („ქართ.
ლიტ.“); „მის სამომავლო გეგმაში რა **ადგილი უკავია** [სწორია: უჭი-
რავს] ახალგაზრდულ თემას“ („ახ. კომ.“); „საზოგადოებასა და ნაც-
ნობ-მეგობრებში **თავი** ღირსეულად **ეკავა**“ [სწორია: ეჭირა]“ („ქართ.
ლიტ.“).

უპან. ზმნისართი უპან ორი მნიშვნელობით შეიძლება შეგვხვ-
დეს — ადგილისა და დროისა. ორსავე შემთხვევაში იგი უპირისპირ-
დება წინ, წინათ ზმნისართებს: „წინ წყალი, უპან მეწყერი“ (ანდ.). აქ
ზმნისართები ადგილის, სივრცის მიხედვით უპირისპირდებიან ერთმა-

ნეთს. „ამას წინათ რომ გნახე, მას უკან აღარ შემხვედრიხარ“ — აქ კი ზმნისართების დაპირისპირება დროის მიხედვით ხდება: წინათ იხმარება უწინ, აღრე სიტყვების მნიშვნელობით, უკან კი იგივეა, რაც: შემდეგ, მერმე.

ადგილის აღსანიშნავად სიტყვა უკან გამოიყენება როგორც საკუთრივ ზმნისართის ფუნქციით, ე. ი. უშუალოდ ზმნას შეეხამება (უკან წამოვიდა); ისე თანდებულის ფუნქციით, ე. ი. სახელს დაერთვის (სკოლის უკან თამაშობს). დროის აღსანიშნავად კი ეს სიტყვა მხოლოდ თანდებულად გამოიყენება; ტრადიციულად იგი მიცემითის ან ნათესაობითის ფორმებს დაერთვის: ცოტა ხანს // ხნის უკან, ორი კვირის უკან, შუადღის უკან, სადილს უკან და ა. შ.

დროითი შინაარსის გადმოსაცემად უკან დაერთვის დროის აღმნიშვნელ ზოგად და კონკრეტულ სახელებს: ხანი, წელი, თვე, კვირა, დღე, საათი... დღის რომელიმე მონაკვეთის აღმნიშვნელ სახელებს: დილა, შუადღე..., ან ამ მონაკვეთებთან დაკავშირებული ყოველდღიური მოქმედების გამომხატველ სახელებს: საუზმე, სადილი, ვაჭმამი... მაგ.: „ფრინველებმა იციან, რომ ცოტა ხანს უკან თავიანთს ქვეყანაში წამოსვლა მოუხდებათ“ (ი. გოგებ.); „სამს თუ ოთხს თვეს უკან მოწმეების კითხვა გაათავეს და მე დიდ სატუხადოში გამგზავნეს ჩვენ პატარა ქალაქს“ (ილია); „ერთ საათს უკან ისე გახდა ჩემი ყანები, ნაყანარობისაც ვეღარ შეატყობდი“ (ვაჟა); „თორმეტ დღეს უკან მოვიდნენ ჩემფე და ვეზირი“ (რ. ერისთ.); „ორი საათის უკან მე მზად ვიქნები“ (ქ. ბაქრ., თარგმ.); „შუადღის უკან უბანშიაც-კი აღარ ჩაიარა საჩხუბრად“ (ვ. ბარნ.); „სადილს უკან მე თითონ ავალ ჩველების სანახავადო“ (ივ. მაჭავ., თარგმ.); „ჩემი მეორე და ისევე პარიზშია და ამ ერთი თვის უკან მოვა“ („მნათ.“).

ადგილისა და დროის ფუნქციით უკან სიტყვის გამოყენებასთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი გარემოება: თუ ადგილის აღსანიშნავად უკან ძველ ქართულშივე იხმარებოდა და ახლაც გაბატონებულია სალიტერატურო ქართულში, დროითი მნიშვნელობის შესახებ იმავეს თქმა გაჭირდებოდა: სალიტერატურო ქართულს დროის ფუნქციით (= შემდეგ, მერმე) გამოყენებული უკან ზმნისართი მხოლოდ მოქმედებითი ბრუნვის ფორმასთან ხმარებისას შემორჩა, მაგ.: „ციცო ... მერაბის ერთადერთი და ორი წლით უკან სწავლობდა“ (რ. ჯაფ.).

ნათესაობითში დასმულ სახელთან თანდებულად გამოყენებულმა უკან სიტყვამ შემდგომ პერიფერიული მეტყველების სფეროსკენ გადაინაცვლა; სალიტერატურო ქართულიდან იგი თანდათან გააძევა შემდეგ სიტყვამ, რომელიც მას შეენაცვლა მყარ გამოთქმებშიც კი.

შდრ.: **მას უკან — მას შემდეგ (მას აქეთ)**, რომ არაფერი ვთქვათ ჩვეულებრივი თანდებულიანი კონსტრუქციების შესახებ: ცოტა ხნის შემდეგ, ორი თვის შემდეგ, სადილის შემდეგ (= ნასადილეს) და მისთ.

მაგრამ ქართული სალიტერატურო ენის შინაგანი განვითარების შედეგად სალიტერატურო ენისგან გარიყულმა სიტყვამ სასაუბრო მეტყველებას შეაფარა თავი, მით უმეტეს, რომ აქ მას თავისი შერყეული პოზიციების განსამტკიცებლად უცხო, სხვა ენის მასალა ეგულებოდა, კერძოდ, რუსული неделю/два дня (тому) назад სახის კონსტრუქციები, რომლებიც ქართულმა სასაუბრო მეტყველებამ პირდაპირ, სიტყვასიტყვით გადმოიტანა. ასე გაჩნდა კალკობრებული გამოთქმები, როგორცაა: **ორი დღის უკან, სამი თვის უკან** და ა. შ. ამ სახით მათ გადმოიტანას იმანაც შეუწყო ხელი, რომ რუსულშიც ამ შემთხვევაში ქართულისათვის დამახასიათებელი თანდებულიანი კონსტრუქცია გვაქვს და არა წინდებულიანი — ინდოევროპული ენებისათვის დამახასიათებელი კონსტრუქცია. ამის გამო სიტყვათა რიგის შეცვლაც კი აღარ გახდა საჭირო.

აღნიშნული სახის გამოთქმები სასაუბრო მეტყველებიდან სალიტერატურო ენაშიც ლამობს შედწევას (მით უფრო, რომ უკანასკნელი ხანების სალიტერატურო ენაში აშკარად იგრძნობა სასაუბრო ნაკადის მოძალება). მაგ.: „ჩემი ესპანური შთაბეჭდილებანი მიხდა დავიწყო სიტყვებით, **ოთხი წლის უკან** რომ დავეწერე...“ („ცისკ.“); „მისი პირველი ნიშნები არცთუ **დიდი ხნის უკან** გაჩნდა, როცა ერთმა კომერციულმა სატელევიზიო სადგურმა ლონდონში დაიწყო ყოველკვირეული გადაცემები აშშ-დან“ („ახ. კომ.“); „...პემინგუეი ამ რამდენიმე **წლის უკან** დაწერილებით სწერდა ცოლს და მეგობრებს“ („ცისკ.“); „უფუუნამ ... ჯერ კიდევ **სამი წლის უკან** აუფორიაქა სული“ („ცისკ.“); „ცოლი სულ **ორი დღის უკან** მოუკვდა“ („ახ. კომ.“); „ერთი კვირის **უკან** მე ჯერ კიდევ თბილისში ვიყავი“ („ახ. კომ.“); „[ლადოს] ეს წიგნი **ორი თვის უკან** მიაჩეჩეს სარედაქტოროდ“ („ცისკ.“).

ყველა დასახელებულ მაგალითში უკან ნახმარია არა თავისი ტრადიციული (= შემდეგ, მერმე) მნიშვნელობით, არამედ საპირისპირო (= ადრე, უწინ) მნიშვნელობით. ეს სემანტიკა კი უკან სიტყვის ანტონიმს — წინ სიტყვას ჰქონდა და აქვს. და ეს დროული დაპირისპირება კარგადაა დაცული მყარ გამოთქმებში **ამას წინათ** და **მას უკან**.

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ზმნისართების სინონიმურად, ერთმანეთის ნაცვლად გამოყენება დაუშვებელია: აღნიშნული წინ და უკან ანტონიმთაგან ადრინდელი ვითარების აღსანიშნავად სალიტერატურო ქართულში ვხვამხოლოდ წინ (წინათ) სიტყვას უნდა მივცეს, მის საპირისპიროდ კი — შემდეგ, ზოგჯერ აქეთ (მას აქეთ) სიტყვებს.

შესაბამისად უნდა გასწორდეს საქმის წარმოებაში უმართებულოდ გაერთელებული კალკრებული გამოთქმა უკანა რიცხვით, რომლის წყაროა რუსული задним числом. ამ გამოთქმის ბუნებრივი ქართული აღევატებია წინა რიცხვით, წინა თარიღით, გასული რიცხვით, ძველი რიცხვით.

მაშასადამე, დროული მნიშვნელობით გამოყენებულ უკან სიტყვას სალიტერატურო ქართული ენის განვითარების კვალობაზე ხმარების არე საგრძნობლად შეეზღუდა, ტრადიციული მნიშვნელობის — შემდგომადობის აღსანიშნავად თანამედროვე სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით იგი უნდა შეფასდეს როგორც დიალექტიზმი; საპირისპირო — აღრინდელი ვითარების აღსანიშნავად კი მისი ხმარება, როგორც ისტორიულად უნიადავო და თანამედროვე ქართულშიც სემანტიკურად გაუმართლებელი მოვლენა, უნდა აღიკვეთოს.

უკიდურესი; უკიდურესად. ზედსართავი სახელი უკიდურესი და მისგან ნაწარმოები ზმნისართი უკიდურესად შედარებით შეზღუდულად იხმარება თანამედროვე ქართულში. მეტ-ნაკლებად თავისუფლად ისინი ეხამებიან ისეთ სიტყვებს, რომელთა შინაარსი აშკარად გამოხატავს ერთგვარ უარყოფით ნიუანსსაც. მაგალითად, ბუნებრივი შესიტყვებებია: უკიდურესი სიღარიბე, უკიდურესი გაჭირვება, უკიდურესი აღელვება, უკიდურესი გამწარება... უკიდურესად ღარიბი, უკიდურესად გაჭირვებული, უკიდურესად აღელვებული, უკიდურესად გამწარებული...: „შალვას გასაოცარი სინამდვილით წარმოუდგა თავისი სიყმაწვილე, ოჯახი, ჯერ ფუფუნება და მერე უკიდურეს სიღარიბემდე მისვლა (ეკ. ვაბ.); „ყველა უკიდურესი გაჭირვებისაგან იყო აწოწალებული“ (რ. ინან.); „მარინემ შეატყო ახალგაზრდას უკიდურესი აღელვება“ (ე. ბარნ.); „საშინელმა უბედურებამ უკიდურესად გაამწარა ყველანი“ (დ. კლდ.)...

იშვიათად ეს სიტყვები სინტაგმას ქმნიან ნეიტრალურ სიტყვებთანაც, მაგრამ ამგვარ შემთხვევებშიც მთლიანად შესიტყვება უარყოფით ნიუანსს უნდა ითავსებდეს. შდრ.: „ეს თვისებაა სწორედ ის, რომელმაც შეიძლება ყველაზე უკიდურესი საქციელისკენ უბიძგოს“ (თ. ჭილ.); თანამედროვე სალიტერატურო ქართული ბუნებრივად არ მიიჩნევს ამ სიტყვების დაწყვილებას დადებითი სემანტიკური ნიუანსის მქონე სიტყვებთან. არ გხმარობთ, მაგალითად, უკიდურესად მდიდარი, უკიდურესად ბედნიერი. ამიტომ არ არის სწორი: „...უკიდურესად [უნდა ყოფილიყო: უაღრესად ან მეტისმეტად] დახვეწილი ორნამენტი იძულებულს გზდის გაიფიქრო...“ („ლიტ. საქ.“); „თავდამსხმელებისათვის ეს უკიდურესად [უნდა ყოფილიყო: უაღრესად] ხელ-

საყრელი იყო“ („ლიტ. გაზ.“). სამაგიეროდ, ბუნებრივად მიიჩნევა შე-
სიტყვება უკიდურესად არახელსაყრელი.

უკუშვება ეკონომიკური ტერმინია. იგი სულ უკანასკნელ ხანს
გაჩნდა ქართულში (ამიტომ ვერ აისახა ქართული ენის განმარტებითსა
და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში) რუსული отдача-ს ერთ-ერთი
მნიშვნელობის გადმოსაცემად (იხ. რქლ), მაგრამ უკვე საკმაოდ დამ-
კვიდრდა პრესის ენაში. შინაარსის მიხედვით **უკუშვება** ნიშნავს: რაიმე
საქმეში (ცალკეულ სამრეწველო თუ სამეურნეო ღონისძიებაში, დიდი
სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა კომპლექსში...) და-
ბანდებული სახსრების, ნედლეულის (თესლის); შრომის... ჭარბდამბრუ-
ნებას, ჭარბამოგებას ანუ მოგებით უკან მიღებას. ამ მნიშვნელობის
გამო ე. სახელზმნა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ოფიციალუ-
რი, სამრეწველო თუ სამეურნეო ინფორმაციების ენაში: „გამოანგა-
რისება ცხადყოფს, რომ მრეწველობაში ძირითადი ფონდების უკუშვე-
ბის მხოლოდ ერთი პროცენტით გაზრდა დამატებით თითქმის 8 მი-
ლიარდი მანეთის პროდუქციის გამოშვების ტოლფასია“ („კომ.“);
„მთავარია არსებითად გავადიდოთ იმ რესურსების უკუშვება, რომლე-
ბიც ხმარდება აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებას“ („კომ.“);
„გლდანელთა ინდუსტრიული პოტენციალის უკუშვების ზრდის დინა-
მიკა გაუმჯობესებას მოითხოვს“ („თბილ.“); „ის განლაავთ შრომის ვე-
ტერანი... დეპუტატი და რაც მთავარია, ჰექტარის უკუშვების ამალღე-
ბისათვის შეჯიბრების ინიციატორი“ („კომ.“)...

უკუშვება სიტყვის მნიშვნელობას კარგად ეხამება ზოგი ზედსარ-
თავი სახელის (მაგ., რეალური, სასურველი, მაღალი, მაქსიმალური...) შინაარსი. ამიტომ ენაში დამკვიდრდა სტილისტიკურად მართებული
შესიტყვებები: **რეალური უკუშვება, სასურველი უკუშვება, მაღალი
უკუშვება, მაქსიმალური უკუშვება** და მისთ.: „რეალურ უკუშვებას იძ-
ლევიან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებაში და-
ბანდებული სახსრები“ („კომ.“); „ამ სტიმულირების ფორმებს არ
მოსდევს ეფექტიანობა, სასურველი უკუშვება, ახალი მიჯნების დაძლე-
ვა“ („კომ.“); „რაც უფრო მიზანმიმართულია საწარმოს ტელმძღვანე-
ლობის რეალური... ზრუნვა ადამიანისათვის, მით მაღალია უკუშვება
სამუშაო ადგილზე“ („თბილ.“); „თითოეული თავის ბუნებრივ მოვა-
ლეობად ჩათვლის... იმუშაოს მაქსიმალური უკუშვებით“ („ლიტ. საქ.“).
აღნიშნულ ტერმინს თავისი სპეციფიკური შინაარსის გამო ვერ დაუ-
კავშირდება სიტყვა **ზუსტი**, ამიტომ გაუმართლებელია შესიტყვება
ზუსტი უკუშვება: „არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ალბათ, საზოგა-
დოებრივ წარმოებაში ადამიანის წვლილის **ზუსტი** [უნდა იყოს რეა-
ლური, ან: მაქსიმალური] უკუშვების უზრუნველყოფას“ („კომ.“)...

საყრელი იყო“ („ლიტ. გაზ.“). სამაგიეროდ, ბუნებრივად მიიჩნევა შესიტყვება უკიდურესად არახელსაყრელი.

უკუშემაზ ეკონომიკური ტერმინია. იგი სულ უკანასკნელ ხანს გაჩნდა ქართულში (ამიტომ ვერ იისაზა ქართული ენის განმარტებითსა და ორთოგრაფიულ ლექსიკონებში) რუსული отдача-ს ერთ-ერთი მნიშვნელობის გადმოსაცემად (იხ. რქლ), მაგრამ უკვე საკმაოდ დამკვიდრდა პრესის ენაში. შინაარსის მიხედვით **უკუშემა** ნიშნავს: რაიმე საქმეში (ცალკეულ სამრეწველო თუ სამეურნეო ღონისძიებაში, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა კომპლექსში...) დაზანდებული სახსრების, ნედლეულის (თესლის); შრომის... ჭარბდამბრუნებას, ჭარბამოგებას ანუ მოგებით უკან მიღებას. ამ მნიშვნელობის გამო ეს სახელწმინა განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ოფიციალური, სამრეწველო თუ სამეურნეო ინფორმაციების ენაში: „გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ მრეწველობაში ძირითადი ფონდების უკუშემა მხოლოდ ერთი პროცენტით გაზრდა დამატებით თითქმის მ მილიარდი მანეთის პროდუქციის გამოშვების ტოლფასია“ („კომ.“); „მთავარია არსებითად გავადიდოთ იმ რესურსების უკუშემა, რომლებიც ხმარდება აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებას“ („კომ.“); „გლდანელთა ინდუსტრიული პოტენციალის უკუშემის ზრდის დინამიკა გაუმჯობესებას მოითხოვს“ („თბილ.“); „ის განლაავთ შრომის ვეტერანი... დეპუტატი და რაც მთავარია, ჰექტარის უკუშემის ამალღებისათვის შეჯაბრების ინიციატორი“ („კომ.“)...

უკუშემა სიტყვის მნიშვნელობას კარგად ეხამება ზოგი ზედსართავი სახელის (მაგ., რეალური, სასურველი, მაღალი, მაქსიმალური...) შინაარსი. ამიტომ ენაში დამკვიდრდა სტილისტიკურად მართებული შესიტყვებები: **რეალური უკუშემა, სასურველი უკუშემა, მაღალი უკუშემა, მაქსიმალური უკუშემა** და მისთ.: „რეალურ უკუშემას იძლევიან ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის განვითარებაში დაზანდებული სახსრები“ („კომ.“); „ამ სტიმულირების ფორმებს არ მოსდევს ეფექტიანობა, სასურველი უკუშემა, ახალი მიჯნების დაძლევა“ („კომ.“); „რაც უფრო მიზანმიმართულია საწარმოს ტელმძღვანელობის რეალური... ზრუნვა ადამიანისათვის, მით მაღალია უკუშემა სამუშაო ადგილზე“ („თბილ.“); „თითოეული თავის ბუნებრივ მოვალეობად ჩათვლის... იმუშაოს მაქსიმალური უკუშემით“ („ლიტ. საქ.“). აღნიშნულ ტერმინს თავისი სპეციფიკური შინაარსის გამო ვერ დოუკავშირდება სიტყვა **ზუსტი**, ამიტომ გაუმართლებელია შესიტყვება **ზუსტი უკუშემა**: „არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ალბათ, საზოგადოებრივ წარმოებაში ადამიანის წვლილის **ზუსტი** [უნდა იყოს რეალური, ან: მაქსიმალური] უკუშემის უზრუნველყოფას“ („კომ.“)...

უკულო თავმოყვარე. ქართულში გვაქვს ორი, აგებულიებით მსგავსი და მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვა: **თავმოყვარე** და **პატივმოყვარე**. **თავმოყვარე** — კაცი, ვისაც თავი უყვარს; საკუთარი ღირსების შეცნობისა და დაცვის უნარი აქვს. **პატივმოყვარე** — კაცი, ვისაც პატივი და ღირსება ხიბლავს; ქედმაღალი, ზვიადი, ამპარტავანი ადამიანი. თავმოყვარეობა ღირსეული პიროვნების აუცილებელი თვისებაა; პატივმოყვარეობა კი — არცთუ საქები და სასურველი თვისება. ერთი განსხვავებაც არის მათ შორის: თავმოყვარეობა უფრო თანდაყოლილი თვისებაა; ყოველ შემთხვევაში, იმ უროიდან მაინც იჩენს თავს, კაცი რომ თავს შეიცნობს... პატივმოყვარეობა კი გვაროვნული, წოდებრივი, სოციალური თუ თანამდებობრივი უპირატესობის ნიადაგზე შეძენილი თვისებაა.

როგორი საფუძველიც არ უნდა ჰქონდეს ადამიანს პატივმოყვარეობას, გაამაყებას, ქედმაღლობას, ამპარტავნობას, იგი უარყოფით ემოციებს იწვევს და ხშირად საზოგადოების გაკილვასაც იმსახურებს. უსაფუძვლოდ გაამაყებული ადამიანი კი მით უფრო იქცევა დაცინვის ობიექტად. არსებობს ანდაზა: გლახა ამპარტავანი ღმერთსაც სძულს და კაცსაც. ამ დამოკიდებულების ამსახველია გავრცელებული იდიომიც **უკულო ამპარტავანი** — ქედმაღალი, პატივმოყვარე კაცი, რომელსაც საამაყო არაფერი აქვს, აღნიშნული იდიომის ამგვარი სახეცვალება — **უკულო თავმოყვარე** — არაფრით არ არის გამართლებული; ირღვევა იდიომიც და **თავმოყვარე** სიტყვის მნიშვნელობაც, რომელიც არასდროს არ უტოლდება **ამპარტავნისა** და მისი სინონიმის — **პატივმოყვარე**-ს — მნიშვნელობას. მაგ.: „...ოპერატორი სულაც არ ყოფილა **უკულო თავმოყვარე** [უნდა იყოს: **უკულო ამპარტავანი**]“ (რ. ჭეიშე).

უმაღლესი. მაღალ- ზედსართავის უფროობითი ხარისხის ფორმა — **უმაღლესი**, სხვადასხვა მნიშვნელობისა და ფუნქციასთან ერთად, ტერმინოლოგიური ფუნქციითაც არის აღჭურვილი: აღნიშნავს სასწავლებლის, სკოლის გარკვეულ ტიპს და განსაზღვრავს სწავლა-განათლების სახეს; შეღის შესაბამის მყარ გამოთქმებში: **უმაღლესი სასწავლებელი** (სკოლა), **უმაღლესი განათლება**.

ორივე ეს გამოთქმა, განსაკუთრებით კი, თავისი პრაქტიკული დანიშნულების გამო — **უმაღლესი სასწავლებელი** — თანამედროვე ქართულში ძალზე ხშირად საზმარი შესიტყვებაა, ამასთან, არა რომელიმე ვიწრო სოციალურ წრეში, არამედ მოსახლეობის უფართოეს ფენებში. ამიტომ, ბუნებრივია, მას ცვეთისადმი გარკვეული მიდრეკილებაც ახასიათებს, — ჩვეულებრივ, სასაუბრო ენაში. ეს მიდრეკილება მეტყველების ეკონომიურობაში გლინდება; მთელი გამოთქმის სემანტიკუ-

რი ფუნქციით ერთ-ერთი შემადგენელი სიტყვა იტვირთება. ამ შემთხვევაში მსაზღვრელი უმაღლესი კისრულობს მსაზღვრელ-საზღვრულისაგან შედგენილი გამოთქმის — უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციას.

მაგრამ თუ ზეპირ, სპონტანურ მეტყველებაში გამოთქმის ბუნებრივი შემვიდროება შესაწყენარებელია, წიგნის ენაში ნეიტრალურ (არასტილიზებულ) მეტყველებაში დაუშვებელია ამგვარი თვითნებური სიტყვიერი ეკონომია: „**უმაღლესში** უკონკურსოდ ჩარიცხული ეს გამორჩეული ახალგაზრდები ჩშირად საოცრად უფერული სტუდენტები გამოდგებიან ხოლმე“ („თბილ.“); „...**უმაღლესს** ასრულებდა [აწორია: უმაღლესს სასწავლებელს ამთავრებდა], როცა დედა გარდაეცვალა“ („ლიტ. საქ.“); „შემოდგომაზე ჩვენს ყოფილ მოსწავლეებსაც რომ შევხვდებით, მაშინვე იმას ვეკითხებით, **უმაღლესში** მოეწყვე თუ ვერაო“ („კომ.“); „არ გეგონოთ, სწავლა, წიგნები, **უმაღლესში** შესასვლელად მზადება იყო მათი საუბრის თემა“ („თბილ.“).

ჩამოთვლილ ილუსტრაციებში სიტყვა უმაღლესი ენაცვლება ერთადერთ გამოთქმას — უმაღლეს სასწავლებელს. რამდენადმე ბუნდოვანია კომპოზიტი უმაღლესდამთავრებულის საკითხი შემდეგ წინადადებებში: „სოფელში 100 უმაღლესდამთავრებული სპეციალისტია...“ („კომ.“); „იგი იყო არა მარტო პირველი ქართველი იურისტი, არამედ ქართველი უმაღლესდამთავრებული ქუთაისის ვუბერნიაში“ („საბჭ. სამართ.“); „წელს 2757 უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა დაიწყებს სკოლებში მასწავლებლობას“ („კომ.“); „იმდროინდელ ქუთაისში... დოღობერიძე ერთადერთი უმაღლესდამთავრებული ქართველი ყოფილა“ („საბჭ. სამართ.“). აქ არ არის ნათელი, გამოტოვებულია სასწავლებელი თუ სწავლა, ვინაიდან ერთიცა და მეორეც მყარ შესიტყვებას ქმნის როგორც უმაღლეს-სიტყვასთან, ისე დამთავრებულთანაც (შესიტყვება უმაღლეს სწავლადამთავრებული იხ. სტატიასთან სწავლა — განათლება).

მსგავსი შემთხვევები „ეკონომიური მეტყველებისა“ არცთუ იშვიათია. ამაასთან, ზოგი საყოველთაოდაა გავრცელებული, ზოგიც უფრო ვიწროპროფესიული მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი. ქვემოთ მოყვანილია შედარებით გავრცელებული შემთხვევები საზღვრულთა გამოტოვებისა სალიტერატურო ენაში: „ყველა საავადმყოფოს, ... სანეპიდსადგურს ჰყავთ ახალი, გამართული მანქანები, სასწრაფოს [სრული შესიტყვება იქნებოდა: სასწრაფო დახმარების სამედიცინო სადგურს] კი რატომღაც ძველ, ჩამოწერილს უგზავნიან“ („თბილ.“); „კუთხური [აკლია: დარტყმა]“ („ლელო“ — სათ.); „გაოცებისაგან ხეირიანად პირის გაღებაც ვერ მოასწრო, როცა კუთ-

ზურიდან [უნდა იყოს: კარის ხაზიდან] ახალი მმართველი ბურთივით ჩამოაწოდეს“ („ლელო“); „...სტუდიის სასწავლო ნაწილმა [უნდა იყოს: სასწავლო ნაწილის გამგემ] სულ გადაივიწყა მანქანის საბე...“ („თბილ.“); „...ისევ იღიმებოდა პარტკომი... „პარტკომი [უნდა იყოს პარტიული კომიტეტის მდივანი] იმას გულისხმობდა...“ („ლიტ. საქ.“); „კომპლექსური [იგულისხმება: კომპლექსური ბრიგადები]“ („თბილ.“ — სათ.); „კურსი კომპლექსურისკენ [უნდა იყოს: კომპლექსური სწავლებისაკენ]“ („თბილ.“ — სათ.); „შეე პუშკინში [ე. ი. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში] ესწავლობ...“ („ლენ. გზით“); „პორტუგალიის მუშათა კლასმა აქტიურად დაუჭირა მხარი პროგრესულ სამხედროებს [უნდა იყოს: სამხედრო პირებს], რომლებმაც ფაშისტური რეჟიმი დაამხეს“ („საზოგად.“); „უნდევრსიტეტში ...ვაბარებდი გეოლოგიურზე [ე. ი. გეოლოგიურ ფაკულტეტზე]... წელსაც გეოლოგიურზე ვაბარებდი“ (თბილ.“); „...აგრესიის აქტებს... თითქმის ყოველდღე ახორციელებენ... ჰონდურასის ქვეყანაყოფები და სომოსელი დაქირავებულები [უნდა იყოს: დაქირავებული ჯარისკაცები]“ („კომ.“).

ანალოგიური მაგალითები ზეპირი მეტყველებიდან: რუსთაველზე (ე. ი. რუსთაველის პროსპექტზე) გაფიარე; რუსთაველში (ე. ი. რუსთაველის სახ. თეატრში ან კინოთეატრში) ვიყავი; სამედიცინოში/-ზე (ე. ი. სამედიცინო ინსტიტუტში) ესწავლობ; ჩვენი ადგილკომი (ე. ი. ადგილკომის თავმჯდომარე) კარგი კაცია და ა. შ.

შედარებით იშვიათია მსაზღვრელის გამოტოვების შემთხვევები: „ხომ არ ნიშნავს ეს, რომ კავშირის [აკლია: საბჭოთა] მასშტაბით სამუშაო დროის გამფლანგველთა წინააღმდეგ გამოცხადებული ლაშქრობა თბილისის ვაჭრობის ზოგიერთ ობიექტში ფორმალურ ხასიათს ატარებს?“ („თბილ.“).

ქართულ სალიტერატურო ენაში ამგვარ შემოკლებათა ფართო გავრცელებაში გარკვეულ როლს უნდა ასრულებდეს რუსული ენის ანალოგია, სადაც ეკვივალენტური ერთეულების სრულ ფორმებს — ორ- ან სამსიტყვიან გამოთქმებს — როგორც ზეპირ, ისე წერიტის მეტყველებაში თითო სიტყვა, ძირითადად, ამრევიატურა ენაცვლება. მაგ.: вуз < высшее учебное заведение (შდრ. უმაღლესი), филфак < филологический факультет (შდრ. ფილოლოგიური), завуч < заведующий учебной частью (შდრ. სასწავლო ნაწილი), маршрутка < маршрутный микроавтобус (შდრ. ხაზარშრუტო)... (აბრევიაციას ვერ ასცდა ვერც თბილისის სახ. უნივერსიტეტის მოკლე რუსული სახელწოდება: госунт < государственный университет).

ვინაიდან ქართული ენა აბრევიატურებისადმი მიდრეკილებით არ ხასიათდება, ენობრივი ეკონომიის მოთხოვნილებებს ქართული ზეპირი მეტყველება ზემოაღნიშნული საკომპენსაციო საშუალებით — მსაზღვრელ-საზღვრულის გამარტივებით იკმაყოფილებს.

მაგრამ ზეპირი, გაუკონტროლებელი მეტყველებისათვის ბუნებრივი და უწყინარი თავისუფლება წერიტს მეტყველებაში ერთგვარ ენობრივ „ანარქიად“ გარდაიქმნება. ამიტომ ერთიან და ნორმირებულ სალიტერატურო ენაში სიტყვათა ამგვარი ნებისმიერი ხმარება ენის დანავიანების საშიშ სიმპტომად უნდა ჩაითვალოს და იგი მკაცრად უნდა შეიზღუდოს. წიგნის ენაში საზღვრულის გამოტოვება დასაშვებია მხოლოდ დიალოგური მეტყველების სტილიზებული იმიტაციის დროს, კერძოდ, პერსონაჟთა მეტყველებაში.

უმაღლესი სწავლა ზოგჯერ ენაცვლება უმაღლეს განათლებას. იხ. სწავლა — განათლება.

უმაღლესი. იხ. უდაბლესი.

უპირველესი ნაწარმოებია ზედსართავად გამოყენებული რიგობითი რიცხვითი სახელისაგან **პირველი** და, როგორც ყველა ამგვარად ნაწარმოები ფორმა, გამოხატავს აღმატებითი ხარისხის სემანტიკას (= ყველაზე პირველი).

უპირველესით აღნიშნება მოწინავე, უმთავრესი, ძირითადი და საუკეთესო ვინმე ან რამე. ამ სიტყვის საყრდენი **პირველ-** ფუძეც იმასვე აღნიშნავს. შესიტყვება **ყველაზე პირველი** რეალურ ვითარებას არ შეეფერება: პირველზე პირველი აღარ არსებობს; **უპირველეს** ფორმის გაჩენა მხოლოდ ზედმეტი ექსპრესიულობისადმი მისწრაფებით უნდა აიხსნას.

მართალია, **უპირველეს ყოვლისა** და **უპირველესად** მყარ განოთქმებად იქცა („მაშუღს გული, უპირველეს ყოვლისა“) — გ. ტაბ.), მაგრამ ისინიც ექსპრესივებია, უწინარეს ყოვლისა და უწინარესად ფორმათა ანალოგიურად ნაწარმოები, და ვერ გაამართლებს **უპირველეს** ფორმის ხმარების სინშირეს თანამედროვე ქართულში. მაგ.: „აღლა ამ მეორასე „ძველ ვოდვეილებსაც“ თან იმ უპირველესი [უნდა იყოს: პირველი] დადგმის სურნელი სდევდა“ („კომ.“); „ჩემი უპირველესი [უნდა იყოს: პირველი], მთავარი მსაჯული და კრიტიკოსია ჩემი შეილი“ (ახ. კომ.“); „თავისი ბუნებით სპორტიც შეიძლება თერგს შეედაროს: მოძრაობა და მოძრაობაა, ანუ წინსვლა და პროგრესია მისი უპირველესი [ზედმეტია] კრედი“ („ლელო“). „ჩვენი ფალავანი უპირველეს [უნდა იყოს: მთავარ] ფავორიტად ითვლებოდა“ („ლელო“).

ტავტოლოგიურ შესიტყვეებებს ქმნის უპირველესი პირველის სემანტიკის შემცველ ასახსნელ სიტყვებთან. მაგ.: „მას ოცდაცხრა წელიწადიც კი არ შესრულებოდა, როცა მოსტაცა უდროო სიკვდილმა რევოლუციურ ძალებს, რომლის უპირველესი ბაირახტარი საქართველოში თვითონ იყო“ („კომ.“). თუ გავითვალისწინებთ ბაირახტარ სიტყვის მნიშვნელობას (მედროშე, მეთაური, ბელადი, წინამძღოლი), ნათელი გახდება, რომ მასთან მსაზღვრელად პირველი შეიძლება ზედმეტი აღმოჩნდეს; მით უმეტეს შეუფერებელია უპირველესი.

ამგვარად, თუ მხატვრული ლიტერატურის ენაში უპირველეს ფორმის ხმარება მეტაფორულად თქმის სურვილით შეიძლება აიხსნას, მას არავითარი გამართლება არ მოეძებნება შედარებით ნეიტრალური (კერძოდ, ოფიციალური, საქმიანი) სტილს მეტყველებაში, რომელსაც აზრობრივი სიცხადე და სიზუსტე მოეთხოვება.

უპრეცედენტი. ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა. პრეცედენტი (ლათ. praecedens (praecedentis) ნიშნავს წინამავალს, წინამორბედს, — ისეთ შემთხვევას, რომელიც არის ნიმუში ან გამართლება შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის. ამ სიტყვის უარყოფითი ფორმა — უპრეცედენტი — ნიშნავს უმაგალითოს, — იმას, რასაც პრეცედენტი არ ჰქონია.

თანამედროვე სალიტერატურო ენაში გვხვდება ამ სიტყვის არასწორად, უმართებულოდ, საპირისპირო მნიშვნელობით ხმარების ცალკეული შემთხვევები. მაგ.: „ვისურვებდი, აგრეთვე, რომ ეს გამოფენა არ ყოფილიყოს უპრეცედენტი [უნდა იყოს: ერთადერთი] შემთხვევა, რომ ამგვარი ანგარიში კეთილ ტრადიციად დამკვიდრდეს“ („ლიტ. საქ.“).

ურთიერთთანაფრომლობა. უკუქცევითი ნაცვალსახელი ურთიერთი იგივეა, რაც: ერთმანეთი, ერთურთი. იხმარება როგორც დამოუკიდებლად — პირიან ზმნასთან, ისე, განსაკუთრებით — რთული სიტყვის შემადგენელ ნაწილად; აღნიშნავს რაიმე დამოკიდებულებას, კავშირს ერთმანეთთან, ერთმანეთის მიმართ, ერთმანეთს შორის და ა. შ. იგი მრავალ ნაზმნარ სახელთან თუ განყენებულ სახელთან ქმნის კომპოზიტს ანუ რთულ სიტყვას. მაგ.: ურთიერთგაგება, ურთიერთლახმარება, ურთიერთსიყვარული, ურთიერთმისაღები და ა. შ.

მაგრამ ურთიერთ- სიტყვით ნაწარმოები კომპოზიტების გამოყენებისას ზოგჯერ შეინიშნება ჭარბხმარების, ტავტოლოგიის შემთხვევები, როცა ურთიერთ- ნაცვალსახელთან შეხამებულ სიტყვათა (სახელის, საწყისის, მიმღობის) ფუძეები თვით გამოხატავენ საურთიერთო გრძნობას, მოქმედებას თუ მდგომარეობას. ასეთი სახელები, ჩვეულებრივ, იმ ანტონიმური რიგის ზმნებთან იყრიან თავს, რომელ-

ნიც აღნიშნავენ, ერთი მხრივ, თანყოფნას, სიახლოვე-მსგავსებას, კავშირს, თანხმობას და მისთ., ხოლო მეორე მხრივ — წინააღმდეგობა-დაპირისპირებას, განსხვავებას და ა. შ. ასეთი ცნებებია: თანამშრომლობა, მეგობრობა, თანხმობა, შეთანხმება, მსგავსება, დაკავშირება, გაწონასწორება, დაპირისპირება, განსხვავება, წინააღმდეგობა, შედარება და მისთ. მაგ.: „...პერიინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითს ინსტიტუტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვს დადებული უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სამეანო-გინეკოლოგიის კლინიკასთან“ („კომ.“); „გეგმა ითვალისწინებს... განავითაროს სამი შემოქმედებითი კავშირის შემდგომი ძმური... ურთიერთთანამშრომლობა“ („ლიტ. საქ.“). ამ მაგალითებში ურთიერთ-ზედმეტია. ამგვარი კომპოზიციების შექმნისა და გავრცელებისათვის გზა უნდა გაეკაფა მათი გაშლილი ფორმით — პირიანი ზმნის სახით — ხმარებას, როცა ურთიერთ-სიტყვას ენაცვლება ერთმანეთი. ეს უკანასკნელი რომელიმე დამატების (პირდაპირი, ირიბი, უბრალო) როლს ასრულებს წინადადებაში. შდრ.: ურთიერთგანსხვავება — ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ურთიერთშედარება — ერთმანეთს შეუდარეს, ურთიერთგაწონასწორება — ერთმანეთი გააწონასწორეს და ა. შ.

მაგრამ ის, რაც აუცილებელია პირიანი ზმნის შემცველ კონსტრუქციაში, როგორც მისი სინტაქსური გამაფორმებელი და სემანტიკური შემავსებელი, არ არის აუცილებელი, — ზედმეტია უბირო ფორმის შემცველ რთულ სიტყვაში, ეინაიდან მისამართი პირები (სუბიექტი, ობიექტი) არ ჩანს, თვით სახელი კი ისედაც გამოხატავს საურთიერთო-შინაარსს. ეს განსაკუთრებით ეხება ურთიერთთანამშრომლობას: თანამშრომლობა თავისთავად ო რ მ ხ რ ი ე უ რ თ ი ე რ თ თ ბ ა ს ვ უ ლ ი ს ხ მ ბ ს .

უსუნა. იხ. დაუნოსა — უუნოსა.

უუნოსა. იხ. დაუნოსა — უუნოსა.

უჩვენებს ზმნის გამოყენება არამატერიალურის გათვალსაზიროების, გამოვლენის მნიშვნელობით უმართებულოა. იხ. გამოავლენს — გამოამულავნებს — უჩვენებს.

უპღვება — ხელმძღვანელობს ზმნებს სინონიმური შინაარსი-აქვთ და მათ ხმარობენ რაიმე საქმის, საქმიანობის წარმართვის, ხელმძღვანელობის აღსანიშნავად. გაძლოა და ხელმძღვანელობა სიტყვებით გამოხატული მოქმედება ლოგიკური აუცილებლობით უკავშირდება მოძრაობა-გადაადგილებას. წინსვლას — პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. შეინიშნება, რომ თუ ეს წინსვლა პირდაპირი მნიშვნელობითაა გაგებული და, ამრიგად, წარმართვა საკუთრივ გზასთან, სივრცეში გადაადგილებასთან არის დაკავშირებული, მაშინ მო-

წინავის, გზამკვლევის, წარმმართველის მოქმედებას უკეთ მიესადაგება უძღვება, გაძლოა სიტყვათა სემანტიკა. მაგ.: „საიდგესასწაულო კოლონებს წინ მიუძღოდნენ ომისა და შრომის ვეტერანები“ („კომ.“). შღრ. აგრეთვე მძლოლი, ექსკურსიამძლოლი.

მაგრამ თუ წინსვლა, გადაადგილება გადატანითი, ფიგურალური მნიშვნელობითაა ნახმარი, მაშინ უძღვება, ხელმძღვანელობს ზმნათა სპეციფიკური სემანტიკური ნიუანსები გაირჩევა იმის გათვალისწინებით, თუ რას წარმართავენ ან უძღვებიან, ვის ხელმძღვანელობენ. კერძოდ, აბსტრაქტულ ცნებათა გამომხატველ სახელებს უკავშირდება უფრო უძღვება ზმნა, ხოლო კონკრეტული შინაარსის მქონე სახელებთან შესიტყვებაში ენა უპირატესობას აძლევს ზმნას ხელმძღვანელობს. მაშასადამე, საქმეებს, გადაცემას, სუფრას, ...უძღვებიან, ხოლო რაიმე საქმიანობით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფებს (ბრიგადებს, საამქროებს, სამმართველოებს)... ხელმძღვანელობენ. გვაქვს, ერთი მხრივ: „ქალი თავის მოვალეობას პირნათლად უძღვება“ (გ. ბარნ.); „ბეტრე მაინც მადლობელი იყო მისი, როგორც მეპატრონე მოურავისა, რომელიც კარგად უძღვება საქმეს, კეთილსინდისიერად ასრულებს მოვალეობას...“ (თ. ქილ.) და მეორე მხრივ: „ჩვენი ამწყობ ზენკალთა ბრიგადა კომკავშირულ-ახალგაზრდულია, მას რ. ბალიშვილი ხელმძღვანელობს“ („კომ.“); „გასული წლის მანძილზე განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ტრესტ „საქმეჯანმონტაჟის“ შემონტაჟეთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც თ. მოღებაძე ხელმძღვანელობს“ („ახ. კომ.“).

ამგვარსავე ნიუანსობრივ სხვაობას ავლენენ უძღვება ზმნისაგან ნაწარმოები სახელებიც. ამასთან, მძლოლი, ექსკურსიამძლოლი, წინამძლოლი... უფრო ტერმინოლოგიური სახელებია. მათ გამოყენების განსაზღვრული სფერო აქვთ, — აუცილებლად ვზასთან დაკავშირებულ საქმეზე, საქმიანობაზე მიუთითებენ: მძლოლი — ავტომანქანას ნართავს, მანქანის წარმმართველია; ექსკურსიამძლოლს, მართალია, ადამიანთა ჯგუფთან აქვს ურთიერთობა, მათ ხელმძღვანელობს, მაგრამ იგი, უწინარეს ყოვლისა, ექსკურსიის წარმმართველია, ექსკურსიის მძლოლია. წინამძლოლი შედარებით უფრო ზოგადი სახელია, ბუნებრივ შესიტყვებებში მას ლიდერის, წარმმართველის მნიშვნელობა აქვს. შღრ.: საქმის წინამძლოლი, ერის, ხალხის... წინამძლოლი და მისთ.

რაც შეეხება ხელმძღვანელს, იგი კიდევ უფრო ზოგადი სახელია, მისი მოხმარების არეც — შედარებით ფართო; იხმარება გარკვეული საქმიანობით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფის თავკაცის, მათი საქმიანობის წარმმართველის მნიშვნელობით. გვაქვს: ინსტიტუტის, განყოფილების, კლასის... ხელმძღვანელი (და არა წინამძლოლი).

ეს ნიუანსობრივი სხვაობანი ზოგჯერ არაა გათვალისწინებული თანამედროვე პრესის ენაში. აღამიანთა ჯგუფების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით უხმარიათ **გადლოლა**. მაგ.: „შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები. მათ ნ. გულორდავა და გ. ქანთარია უძღვებიან [უნდა იყოს: ხელმძღვანელობენ]“ („კომ.“); „მოწინავეთა შორის არიან სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც ვ. ბიჩეკი, უ. გოჯიაშვილი და თ. ჭინჭარაული უძღვებიან [უნდა იყოს: ხელმძღვანელობენ]“ („კომ.“); „თავდადებულად შრომობენ მშენებელთა კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირი გრ. ჭოხონელიძე და ლენინის ორდენოსანი გ. ქურციკიძე უძღვებიან [უნდა იყოს: ხელმძღვანელობენ]“ („კომ.“); „ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალების შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ამონიუმის სულფატის, სინთეზის, ამონიუმ დისულფატისა და ყანგბადის სამჭროები, რომლებსაც ს. ბებიაშვილი, ი. კარდენახიშვილი, გ. ოძელაშვილი, მ. კალანდაძე უძღვებიან [უნდა იყოს: ხელმძღვანელობენ]“ („კომ.“).

უწყის ზმნა ძველი ქართული ენის დანალექია. მნიშვნელობით იგივეა, რაც **იცის**. საუღლებელი ფორმებით იგი ლარიბია: მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში იხმარება — **უწყის, უწყოდა, უწყოდეს**. აწმყოს ფორმა კი წარმოშობით მეორე ზოღმეობითია. ამიტომ სუბიექტს მართავეს მოთხრობით ბრუნვაში (ისევე, როგორც **იცის**): **უწყის მან** [კაცმა]. **უღრ:** **იცის მან**. გავრცელებულია ამ ზმნით შედგენილი რამდენიმე სტერეოტიპული გამოთქმა: **ღმერთმა უწყის, ეშმაკმა უწყის, არავინ უწყის!**..

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში შეინიშნება **უწყის** ზმნის ერთგვარი გააქტიურების ტენდენცია, რაც არქაიზაციისაკენ სწრაფვის ერთი გამოვლინებაა. მაგალითები: „თამარ დედოფალმა... ჩინებულად **უწყოდა**, რომ თვითმპყრობელ მეფეს არ მართებდა ქვეშევრდომთა წინაშე ქედის მოღრეკა...“ (რ. ჯაფ.); „ქმარს რომ შეესწრო დალისთვის, მაშინ რა მოხდებოდა, ღმერთმა **უწყოდა**“ (რ. ჭეიშვი.); „ოღონდაც ვინ **უწყის**, თუ რაღას არ უწყოდეს მშეენიერი...“ (ო. ჩხ.); „— აკი ყველაფერი იმთავითვე **უწყოდი**?...“ („ცისკ.“); „იქნებ არც **უწყით**, რას სჩადიან?“ („ლიტ. საქ.“); „რა ხანს იღვნენ ასე გარინდებულნი, ეშერსტმა არ **უწყოდა**“ (ალ. გამყრ., თარგმ.); „...ქვეცნობიერად, ისე რომ არ **უწყოდი**, რას ვჩადიოდი, მთელი გრძნობით ავაყოლე ხმა ფლეიტას...“ („ახ. კომ.“).

ამა თუ იმ ძველი ლექსიკური ერთეულისა თუ ფორმის გამოცოცხლება-გააქტიურება თანამედროვე სიტყვათხმარებაში შესაძლებელია ზოგჯერ სასურველ სტილისტიკურ ეფექტს იძლეოდეს, მაგრამ სიტყვა-

ფორმები არ უნდა დაგამაზინოთ. უწყის ზმნას კი ხშირად არასწორად ხმარობენ. კერძოდ (შესაძლოა, უნდა ზმნის ანალოგიით), ქვემდებარეს მიც. ბრუნვაში უწყობენ, მეტიც: II პირისათვის გაჩნდა ფორმა შენ გიწყოდეს, ნაცვლად უწყი ფორმისა (შდრ: მას უნდოდა, შენ ვინდოდეს). ამ სხვადასხვაგვარი დარღვევის მაგალითებია: „მათ კარგად უწყით [უნდა იყოს: უწყიან] თვითმპყრობელობის მძიმე უღელქვეშ თავს რა გადახდა ქვეყანას“ („ლიტ. საქ.“); „...იმ ადამიანებს [უნდა იყოს: ადამიანებმა] კარგად უწყოდათ [უნდა იყოს: უწყოდნენ] ეს ყოველივე...“ („თბილ.“); „...ჩემი დიდი ბრძოლის ყინი მხოლოდ შენ ერთს გიწყოდეს“ („ლიტ. საქ.“) [უნდა იყოს: «შენ» ერთმა უწყოდე].

უხვად ზმნისართი ნაწარმოებია სათანადო უხვი ზედსართავი სახელისაგან და ნიშნავს: მრავლად, ბლომად, ბარაქიანად: „იმას არა უჭირს რა, ვისაც შეშაც მოტანილი აქვს სახლში, პური და ღვინოც უხვად აქვს!“ (ეფთა).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უხვად ზმნისართის მნიშვნელობა ზოგჯერ არ მიესადაგება ზმნა-შემასმენლით ნაჯულისხმევ მოქმედებას. ამ შემთხვევაში სიტყვა უხვად ან უფრო შესაფერისი ზმნისართით უნდა შეიცვალოს, ანდა საჭირო ხდება კონსტრუქციის შეცვლა. მაგ. „ზაფხულის განმავლობაში ჰიდრა უხვად [უშვებესია: კარგად] იკვებება“ („ზოოლოგ.“); „ამ განწყობილებამ ხელი შეუწყობ ბავშვს, მოკლე დროში ...ადვილად და უხვად დაუფლებოდა უცხოური ენის სიტყვებს [უნდა იყოს: ადვილად ესწავლა მრავალი უცხო სიტყვა]“ (უე სკოლაში“); „ამ დიადი ღლეების შთაბეჭდილებანი შემდეგ უხვად [უნდა იყოს: არაერთხელ, არაერთჯერ, მრავალჯერ] და მრავალმხრივად გამოიხატა გ. ტაბიძის პოეზიაში“ („მშობ. ლიტ.“); „ეგნატემ უხვად ისარგებლა [უნდა იყოს: მრავალჯერ, მრავალჯერ ისარგებლა, ან: ეგნატეს ხშირად უსარგებლია] გურიელის ბიბლიოთეკით“ („მშობ. ლიტ.“); „ალიო მირცხულავა ერთ-ერთი უბედნიერესი პოეტთაგანი იყო, ვინც სიცოცხლეშივე უხვად მიიღო ხალხის აღიარება და დაფასება [უნდა იყოს: ...რომელიც სიცოცხლეშივე დიდად იქნა აღიარებული და დაფასებული ხალხის მიერ, ხალხისაგან]“ („კომ.“). „სამწუხაროდ, უხვად დააბიჯებენ ქართულ მიწაზე ძირხმელი ბერბიჭები და დაყვავილებული შინაბერები [უნდა იყოს: ქართულ მიწაზე ბერბი... ბერბიჭა და ... შინაბერა დააბიჯებს]“ („ახ. კომ.“).

ზოგჯერ ზმნასთან უხვად ზმნისართის დაკავშირება ერთი შეხედვით უხეშ დარღვევას არ ქმნის, მაგრამ ზმნის სემანტიკური ნიუანსის გათვალისწინებით მათი შეხამება მიზანშეწონილი არ არის. მაგ.: „ახლად ამოხეთქილ ბალახებში უხვად ერია რძია-რძია და იები“

(რ. გვეტ.). **ერია (გამოერია)** ზმნის სემანტიკა სიმცირის, ოდნობის შინაარსს შეიცავს: („შიგადაშიგ, ალაგ-ალაგ გაუჩნდება, ზოგან დაემჩნევა“, — ქეგლ). ამიტომ მრავლის, ქარბის შემცველი უხვად ზმნისართისა და გამოერია (იხ.) ზმნის მნიშვნელობები ერთმანეთს არ მიესადაგება.

ფ

ფავორიტი უცხო სიტყვაა (ფრანგ. favorite, გერმ. Favorite. < ლათინური favor) და აღნიშნავს: 1. ადამიანს, რომელიც სარგებლობს გავლენიანი, მაღალი თანამდებობის პირის კეთილგანწყობილებით, მოსარჩლეობით, მფარველობით, სიყვარულით; საერთოდ, ვისიმე საყვარელ, გამორჩეულ პირს და 2. მეფის ან დედოფლის საყვარელს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტისას (ქეგლ).

ფავორიტის ეს მნიშვნელობები თანამედროვე ქართულისათვის მოძველებულია და იშვიათად თუ იხმარება ასეთი დანიშნულებით, მაგრამ ამ სიტყვას ძირითად სემანტიკაზე დაყრდნობით ახალი ნიუანსი გაუჩნდა სპორტის ენაში. ს. ოქეგოვის „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მითითებულია ასეთი მნიშვნელობაც: დღღში პარკელობის მეტი შანსის მქონე ცხენი. უკანასკნელ ხანებში კი ეს ვიწრო მნიშვნელობის სიტყვა გააქტიურდა სპორტულ თემებზე საუბრისას, თან მნიშვნელობაც გაიფართოვა და ახლა იხმარება იმ პირის, გუნდის, კლუბის თუ ნაკრების აღსანიშნავად, რომელსაც მეტი შანსი აქვს შეჯიბრებაში, ასპარეზობაში პირველობის მოსაპოვებლად. ეს ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია ჩვენს ქვეყანაში სპორტის მასობრიობით, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში ჩვენი სპორტსმენების წარმატებით, რამაც ხელი შეუწყო, სხვათა შორის, ამ მნიშვნელობით სიტყვა **ფავორიტის** გავრცელებასა და დამკვიდრებას: „ვინ შეიძლება ჩიითვალოს გათამაშების მთავარ ფავორიტად? ამაზე მსჯელობა, ვფიქრობთ, ჯერ ადრეა“ („თბილ.“); „შეჯიბრების ფავორიტები იყვნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ზაკის აღზრდილი“ („ლელო“); „რამდენიმე ხნის წინ ამ წონაში ქვემძიმე წონაში უდავო ფავორიტად ითვლებოდა გროზნოელი მსოფლიო ჩემპიონი ა. ბისულთანოვი“ („კომ.“); „ასევე იყვნენ განწყობილი ბრძოლისათვის დანარჩენი ფავორიტებიც“ („ახ. კომ.“); „თბილისის „დინამოს“ — გათამაშების ლიდერსა და წლევეანდელი სეზონის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, — ეს მატჩი რომ მოეგო, მნიშვნელოვნად განამტკიცებდა ერთპიროვნული ლიდერის მდგომარეობას“ („კომ.“); „სა-